


გეოსაინფორმაციო პაკეტი

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი																								
1	წიაღითსარგებლობის ობიექტი – წიფის დიორიტის საბადო																								
2	გენეტიკური ტიპი – მაგმური																								
3	სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო ტიპი – სამშენებლო																								
4	წიაღითსარგებლობის ობიექტის მდებარეობა და ტერიტორიის ზოგადი აღწერა																								
4.1	რეგიონი – იმერეთი																								
4.2	მუნიციპალიტეტი – ხარაგაული																								
4.3	უახლოესი დასახლებული პუნქტი – სოფელი ფონა																								
4.4	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან – რკ/ც ხარაგაულიდან 20-22 კმ (პირდაპირი მანძილი)																								
4.5	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან / სანაპირო ზოლიდან – აღემატება 10 კმ-ს / აღემატება 20 კმ-ს.																								
4.6	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) – მდ. ჩხერიმელას აუზი																								
4.7	წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები – <table border="1" data-bbox="359 772 710 1064"> <thead> <tr> <th>№</th> <th>X</th> <th>Y</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>372140</td> <td>4653483</td> </tr> <tr> <td>2</td> <td>371860</td> <td>4653663</td> </tr> <tr> <td>3</td> <td>371619</td> <td>4653496</td> </tr> <tr> <td>4</td> <td>371556</td> <td>4653271</td> </tr> <tr> <td>5</td> <td>372048</td> <td>4653194</td> </tr> <tr> <td colspan="2">S=178730 მ²</td> <td></td> </tr> <tr> <td colspan="2">WGS 1984</td> <td></td> </tr> </tbody> </table> 	№	X	Y	1	372140	4653483	2	371860	4653663	3	371619	4653496	4	371556	4653271	5	372048	4653194	S=178730 მ ²			WGS 1984		
№	X	Y																							
1	372140	4653483																							
2	371860	4653663																							
3	371619	4653496																							
4	371556	4653271																							
5	372048	4653194																							
S=178730 მ ²																									
WGS 1984																									
4.8	ობიექტის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან – 900-1200 მ																								
4.9	კლიმატური პირობები – ზომიერად თბილი კლიმატი. საშუალო წლიური ტემპერატურაა +13,3°C, ნალექების საშუალოწლიური რაოდენობა – 600-813 მმ																								
5	ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები																								
5.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან – აღემატება 100 მ-ს																								
5.2	მანძილი უახლოესი ხიდიდან –																								
5.3	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან –																								
5.4	დამატებითი მონაცემები –																								
6	სატყეო რესურსები																								
6.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში – არ ფიქსირდება.																								
6.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური – იმერეთის რეგიონალური სატყეო სამსახური, ხარაგაულის სატყეო უბანი																								
6.3	სატყეო რესურსების დამატებითი მონაცემები –																								
7	რაიონის გეოლოგიური პოზიცია																								
7.1	ტექტონიკური დარაიონება – ამიერკავკასიის მთათაშუა არე, ცენტრალური აზვეების ზონა, ძირულის ქვეზონა																								
7.2	გეოლოგიური აგებულება – საბადოს რაიონში ყველაზე ძველი ქანები წარმოდგენილია პრეკამბრიული და ქვედა პალეოზოური გრანიტებით, გრანოდიორიტებით, გნეისებითა და კრისტალური ფიქლებით, რომლებიც აგებს ძირულის მასივის ფუნდამენტს. მასივის პერიფერიები აგებულია შედარებით ახალგაზრდა – მეზოზოური და მესამეული – ნალექებით, სადაც ისინი უშუალოდ არის განლაგებული ძველ კრისტალურ ქანებზე.																								
8	ობიექტის გეოლოგიური პოზიცია																								
8.1	გეოლოგიური აგებულება – წიფის დიორიტის საბადო აგებულია იურული (ბათური) ასაკის																								

	ინტრუზიული ქანებით – ძირითადად კვარციანი დიორიტებით, ზოგან გრანოდიორიტებითა და გრანიტებით. კვარციანი დიორიტები წარმოდგენილია არათანაბრად გავრცელებული, წვრილ და საშუალომარცვლოვანი სახეობებით. ქანი ნაცრისფერი და ღია ნაცრისფერია, ზოგან მოვარდისფრო ელფერით, კვარცის მრავალრიცხოვანი ძარღვაკებით. პროლუქტული ფენის ზედა ნაწილი გამოფიტულია, გადაფარულია დელუვიური ნალექებითა და ნიადაგის ფენით.
8.2	მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი – ინტრუზივი
8.3	მადნიანი სხეულის (სხეულების) გავრცელება (მიმართებით და დაქანებით) – ლიმიტირებულია სალიცენზიო ობიექტების პარამეტრებით.
8.4	მადნიანი სხეულის (სხეულების) სიმძლავრე – საშუალო სიმძლავრე – 8 მ
8.5	მადნიანი სხეულის (სხეულების) წოლის ელემენტი –
8.6	დამატებითი მონაცემები –
9	ობიექტის შესწავლის ხარისხი და სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიურ-ტექნოლოგიური დახასიათება
9.1	საძიებო ქსელი ძებნა-ძიების სტადიურობის ჩვენებით – საბადოზე ჩატარებულია დეტალური ძიება. საძიებო ქსელია: A კატეგორია – 80-120 მ; B კატეგორია – 200-200 მ; C1 კატეგორია – 300-300 მ.
9.2	საძიებო სამუშაოები – საბადოზე გაყვანილია ჭაბურღილები, შურფები, თხრილები
9.3	დასინჯვა – ხარისხობრივი და ტექნოლოგიური თვისებები შესწავლის მიზნით საბადოზე აღებულია კერნული, მონოლითური სინჯები.
9.4	ლაბორატორიული და ტექნოლოგიური კვლევის შედეგები – კვარციანი დიორიტები წარმოდგენილია არათანაბრად გავრცელებული, წვრილ და საშუალომარცვლოვანი სახეობებით. ქანი ნაცრისფერი და ღია ნაცრისფერია, ზოგან მოვარდისფრო ელფერით, კვარცის მრავალრიცხოვანი ძარღვაკებით. ქიმიური შემადგენლობა: SiO ₂ – 59.0-63.4%; Al ₂ O ₃ – 14.5-16.1%; Fe ₂ O ₃ – 2.45-7.9%; TiO ₂ – 0.47-0.6%; CaO – 4.5-6.3%; MgO – 2.4-3.8%; Na ₂ O – 0-3.1%; K ₂ O – 0-2.74%; სინესტე – 0.21-0.75%. ფიზიკურ-მექანიკური თვისებები: მოცულობითი წონა – 2629-2723 კგ/მ ³ ; წყალშთანთქმა – 0.11-0.35%; სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე: პაერზე მშრალ მდგომარეობაში – 514-1153 კგ/მ ² ; წყალშთანთქმის შემდეგ – 425-1069 კგ/სმ ² ; ეინვანამძლეობის კოეფიციენტი – 0.81-0.95 კგ/სმ ² .
9.5	ჰიგიენურ-რადიაციული კვლევა და შედეგები –
9.6	სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების სფერო – მშენებლობაში; მოსაპირკეთებელი ქვა, საღორღე ნედლეული.
9.7	დამატებითი მონაცემები –
10	სასარგებლო წიაღისეულის მარაგები
10.1	ობიექტის დაძიების ხარისხი (სტადია) – დეტალური ძიება
10.2	ობიექტის ფართობი მარაგების ანგარიშის კონტურში – 178730 მ ²
10.3	მადნიანი სხეულის ძირითადი პარამეტრები – ფართობი – 178730 მ ² (აქედან 15265 მ ² -ზე დათვლილია მოსაპირკეთებელი ქვის მარაგები, ხოლო 163465 მ ² -ზე – საღორღე ნედლეულის); საშ. სიმძლავრე – 8 მ
10.4	მარაგების გამოთვლის მეთოდი – საშუალო არითმეტიკული
10.5	წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები მარაგების და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით (A+B+C ₁ +C ₂ და P) – სალიცენზიო ობიექტზე მარაგები დათვლილია შემდეგი ოდენობით: <i>მოსაპირკეთებელი ქვა:</i> A კატეგორია – 15265 x 8 = 122120 მ ³ ;

	<p><u>სალორთე ნედლეული:</u> A კატეგორია - 7780 x 8 = 62240 მ³; B კატეგორია - 32870 x 8 = 262960 მ³; C₁ კატეგორია - 73735 x 8 = 589880 მ³; C₂ კატეგორია - 49080 x 8 = 392640 მ³; A+B+C + C₂ - 1307720 მ³.</p>
10.6	თანმდებლო სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები - არ არის დაფიქსირებული.
10.7	მარაგების გაზრდის ძირითადი მიმართულებები -
10.8	დამატებითი მონაცემები -
11	წიაღისარგებლობის ობიექტის დამუშავების პირობები
11.1	წიაღისარგებლობის ობიექტის დამუშავების ჰიდროგეოლოგიური და სამთო ტექნიკური პირობები - ხელსაყრელია.
11.2	წიაღისარგებლობის ობიექტის დამუშავების მეთოდი - ღია (კარიერული) წესი. ობიექტზე ეკოლოგიური წონასწორობისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს ლიცენზიანტი.
11.3	ინფორმაცია ობიექტის ტოპოგრაფიის შესახებ - გამოიყენება დამუშავების დაწყებამდე და დასრულების შემდეგ საჭიროა შედგეს ობიექტის ტოპოგრაფია.
12	წიაღისარგებლობის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება
12.1	წიაღისარგებლობის ობიექტის მორფოლოგია - სალიცენზიო ობიექტი (დიორიტი), მდებარეობს ზემო იმერეთის დაბალმთიან ზონაში, ძირულის კრისტალურ მასივზე, მდინარე ჩხერიმელას მარჯვენა უსახელო შენაკადის, V-სებური პროფილის მქონე ხეობის მარჯვენა ფერდზე. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს უსახელო გორაკის (აბს. 1221.0მ.) აღმოსავლური ექსპოზიციის მქონე ფერდობის ქვედა ნაწილს, რომლის რელიეფი ცვალებადი დახრილობისაა და საშუალოდ შეადგენს - 35-40°-ს. სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია უშუალოდ ემიჯნება უსახელო მდინარის მარჯვენა ნაპირზე გამავალ, სატყეო დანიშნულებისათვის განკუთვნილ გრუნტის გზას. სალიცენზიო ობიექტი და მიმდებარე ტერიტორია შემოსილია მრავალწლიანი ტყით.
12.2	წიაღისარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია - სალიცენზიო ობიექტის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს გრანიტოიდული ინტრუზიები, რომლებიც ზემოდან გადაფარულია ცვალებადი სიმძლავრის დელუვიური საფარით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.
12.3	წიაღისარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია (მდინარეული ქვიშა-ხრეშის შემთხვევაში ნაპირების ეროზია; კალაპოტში წარმოქმნილი ჭარბი აკუმულაცია და სხვა) - სალიცენზიო ობიექტის ფარგლებში საშიში გეოდინამიკური პროცესები არ ფიქსირდება.
12.4	წიაღისარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გეოდინამიკური გართულებები - ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში გეოდინამიკური გართულებები მოსალოდნელი არ არის.
12.5	გეოდინამიკური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა - არ საჭიროებს
12.6	<p>დასკვნები და რეკომენდაციები -</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სალიცენზიო ობიექტი (დიორიტი) მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, სოფ. ფონას მიმდებარე ტერიტორიაზე; 2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას; 3. შიშოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღისარგებლობის დამუშავების პროექტის მიხედვით; 4. ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს პიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბალისაკენ, მოქმედი სამთო საქმის წესებისა და ნორმების დაცვით; 5. ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით; 6. უნდა გამოირიცხოს ფუჭი ქანის ჩაყრა მდ. ჩხერიმელას მარჯვენა უსახელო შენაკადის კალაპოტში; 7. ობიექტი ფიქსირდება ტყის ფონდის ტერიტორიაზე, დამუშავებამდე საკითხი უნდა შეთანხმდეს ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან; 8. წიაღისარგებლობის ლიცენზიის გაცემამდე ობიექტის დამუშავების საკითხი უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან; 9. ვინაიდან ობიექტიდან 350 მ-ში მდებარეობს ეკლესია, უნდა გამოირიცხოს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები; 10. აღნიშნული რეკომენდაციების (პუნქტი 3-8) გათვალისწინებით, სალიცენზიო ობიექტზე წიაღისეულის მოპოვება არ გამოიწვევს არსებული გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

13	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდვური მასალა
13.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) – გ. ქობულაძე
13.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – 1983 წ.
13.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № – №15997

შემსრულებლები:

ს. შკალაიშვილი ნ. ჩომახიძე, ე. ბაქანიძე, ზ. პერიაშვილი ნ. ბებია

შეთანხმებულია,

სასარგებლო წიაღისეულის მართვის
დეპარტამენტის უფროსი



მერაბ ჩალათაშვილი